



## საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლე — მიმართ  
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

02 აპრილი, 2018 წელი

ქ. თბილისი

#### დისციპლინური საქმე №198/17

-- -- (წარმომადგენელი) 2017 წლის 13 ნოემბრის №-- -- საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 15 მარტის №198/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 02 აპრილის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

#### 1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძველიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განცხადებით, მან შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს ჩამოწერის მოთხოვნით სარჩელით მიმართა -- -- საქალაქო სასამართლოს. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --, რომელმაც არ მიიღო სარჩელი წარმოებაში. განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ იყო სასამართლოში არსებული „მავნე პრაქტიკის“ შაბლონური ნიმუში, რომელსაც მასიურად იყენებენ -- -- საქალაქო სასამართლოს მოსამართლეები. შაბლონში მოსამართლეები ცვლიან მხოლოდ მხარეთა პირად მონაცემებს, ხოლო „მოტივაცია“ ყველგან იგივეა.

ამის შემდეგ, საჩივრის ავტორმა ისევ მიმართა სარჩელით სასამართლოს და სარჩელს თან დაურთო მსგავს საქმეებზე ზემდგომი ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ასლები. აღნიშნული გადაწყვეტილებებიდან ცალსახად გამომდინარეობდა, რომ ზემდგომი სასამართლო აუქმებდა ისეთ განჩინებებს, რომელიც მოსამართლე -- -- მიღებული ქონდა ამ საქმესთან დაკავშირებით.

საჩივრის ავტორი იმედოვნებდა, რომ მოსამართლე ამჯერად მაინც მიიღებდა სარჩელს წარმოებაში, თუმცა, -- -- მეორედ უთხრა მას უარი სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. მოსამართლემ იგნორირება გაუკეთა სასამართლო პრაქტიკას, რაც შინაარსს უკარგავს სასამართლოს იერარქიულობას. გარდა ამისა, -- -- მოქმედება არის მოსარჩელის სასარჩელო უფლების შეგნებული დაბლოკვა და მართლმსაჯულებაზე უარის თქმა, პირადი პროფესიული ტვირთის შემსუბუქების მიზნით.

## **2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

**2.1.** -- -- წარმომადგენლის -- -- მეშვეობით 2017 წლის 25 ოქტომბერს სარჩელით მიმართა -- -- საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის - -- -- მიმართ და სააღსრულებლო ფურცლით დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხის - 1308.91 ლარის ნაწილში ბათილად ცნობა მოითხოვა. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

2017 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის მიღებაზე. მოსამართლემ განმარტა, რომ სასარჩელო მოთხოვნა არ იყო ნათლად და გარკვევით ჩამოყალიბებული.

მოსარჩელის წარმომადგენელს -- -- 2017 წლის 26 ოქტომბრის განჩინება ჩაბარდა 2017 წლის 27 ოქტომბერს. 2017 წლის 30 ოქტომბრის განცხადებით მოსარჩელემ უარი განაცხადა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინების გასაჩივრებაზე.

**2.2.** 2017 წლის 1 ნოემბერს -- -- წარმომადგენლის -- -- მეშვეობით 2017 წლის 25 ოქტომბრის იდენტური სარჩელით ისევ მიმართა -- -- საქალაქო სასამართლოს.

2017 წლის 2 ნოემბერს -- -- განცხადებით მიმართა მოსამართლე -- -- და მოითხოვა სარჩელის წარმოებაში მიღება. განცხადებას დართული ჰქონდა -- -- სააპელაციო სასამართლოს 2 გადაწყვეტილება, რომელიც მისი აზრით, ადასტურებდა მოსამართლე -- -- მიერ 2017 წლის 26 ოქტომბერში მიღებული განჩინების უკანონობას.

2017 წლის 3 ნოემბრის განჩინებით მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის მიღებაზე. მოსამართლემ კვლავ განუმარტა მოსარჩელეს, რომ სასარჩელო მოთხოვნა არ იყო ნათლად და გარკვევით ჩამოყალიბებული.

2017 წლის 10 ნოემბრის განცხადებით მოსარჩელემ უარი განაცხადა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ 2017 წლის 3 ნოემბრის განჩინების გასაჩივრებაზე.

### **3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება**

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არ აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „მოსამართლე სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში არ მიიღებს სარჩელს,“ თუ სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლში ჩამოყალიბებული შესაბამისი წინაპირობები. აღნიშნული მუხლის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტების თანახმად, სარჩელში უნდა აღნიშნოს „კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს“ და „მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებს.“

ამდენად, მოსამართლე -- -- შესაბამისი განჩინებების მიღებისას მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სარჩელის

განსახილველად მიღების/მიღებაზე უარის თქმის შესახებ საკითხის შეფასება მის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენდა. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ, მისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასებების შედეგად, გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერებაზე. განჩინების ამ მხრივ შეფასება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

#### **4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 12 მარტის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრთაგან 13 ხმით (01 ბათილი ბიულეტენი), სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მესამე პუნქტითა და „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

## გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

დისციპლინურ საქმეზე №198/17, მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის  
უმადლესი საბჭოს მდივანი